ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა

ნაწილი 2: კონცეპტუალური მიდგომა - ნაბიჯი 1, საფრთხეების გამოვლენა

პროფესიონალ ბუღალტრებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, ყოველთვის იმოქმედონ საზოგადოებრივი ინტერესების სასარ-გებლოდ. ამ ვალდებულების სათანადოდ შესრულებაში მათ ეხმარება ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვა. თუმცა ბუღალტერთა ყოველდღიურ საქმიანობაში ზოგჯერ თავს იჩენს ისეთი გარემოებები, რომლებიც აფერხებს ან „საფრთხეს“ უქმნის ბუღალტერთა მიერ ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვას.

რას წარმოადგენს კონცეპტუალური საფუძვლები?

კონცეპტუალური საფუძვლები ადგენს მიდგომას, რომლის გამოყენება ყველა პროფესიონალ ბუღალტერს მოეთხოვება ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად. ესგულისხმობს საფრთხეების გამოვლენას, შეფასებასა და მათზე სათანადო რეაგირებას. ამისათვის პროფესიონალმა ბუღალ-ტრებმა უნდა მიმართონ პროფესიულ განსჯას; მუდმივად ყურადღებით იყვნენ ახალ ინფორმაციასა და ფაქტებისა თუ გარემოებების ცვლილებებთან მიმართებით და გამოიყენონ გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის ტესტი.



აუდიტორებსა და მარწმუნებელი გარიგების შემსრულებელ პრაქტიკოსებს მოეთხოვებათ იყვნენ დამოუკიდებლები, როდესაც ატარებენ აუდიტს, მიმოხილვას ან ასრულებენ სხვა სახის მარწმუნებელ გარიგებას. ამასთან, მათ უნდა გამოიყენონ კონცეპტუალური მიდგომა დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილი საფრთხეების გამოსავლენად, შესაფასებლად და მათზე სათანადო რეაგირებისთვის.

რა ტიპის საფრთხეები არსებობს?

საფრთხეები, რომლებიც შესაძლოა ემუქრებოდეს ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვას, კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

ანგარება | თვითშეფასება | ადვოკატირება | ფამილიარული ურთიერთობები | შანტაჟი

ეს საკითხი განვიხილოთ კონტექსტში და გამოვიყენოთ კონცეპტუალური მიდგომა, რათა განვსაზღვროთ ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილი საფრთხეები. ამისათვის (პირველი ნაწილიდან) გავიხსენოთ საერთაშორისო სამრეწველო საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი დირექტორის საკითხი.

აღმასრულებელი დირექტორი გეგმავს განვითარებად ბაზარზე საქმიანობის დაწყებას. თქვენ, როგორც დირექტორი სააღრიცხვო პოლიტიკის საკითხებში, არ ხართ დარწმუნებული, რომ მისი გეგმა შესაბამისობაშია მექრთამეობისა და კორუფციის შესახებ ადგილობრივი კანონების მოთხოვნებთან.

კომპანიამ ახლახანს დაკარგა ბაზრის წილი, შესაბამისად, მისი აქციების საბაზრო ღირებულება შემცირდა 10%-ით. თუ შემოსავლები მალე არ გაუმჯობესდება, გარდაუვალი იქნება თანამშრომელთა გათავისუფლება - დაზოგილი თანხა კი მოხმარდება ისეთ განყოფილებებს, როგორიცაა, მაგალითად თქვენი გუნდი.

მომგებიან ბაზარზე შესვლის ახალი სარწმუნო გეგმა აკმაყოფილებს დირექტორთა საბჭოსა და აქციონერთა მოთხოვნებს. ამასთან, აღმასრულებელი დირექტორი დაგპირდათ საკმაოდ მაღალ ბონუსებს, თუ თქვენი გუნდი „საქმეს გააკეთებს, თუნდაც ნებისმიერ ფასად.“

თქვენ გადახედეთ კორესპონდენციებს ელფოსტაზე - ზოგიერთი წერილიდან ჩანს, რომ განხორციელდა თანხების გადარიცხვა გარე საბანკო ანგარიშებზე სამიზნე ქვეყანაში, დაახლოებით იმ დროს, როდესაც მუშავდებოდა ახალი ბიზნესგეგმა. გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ბუნდოვანია, თუმცა ჩანს „ბაზრისა და ბიზნესის გამოკვლევის ხარჯები“, რომელიც ასახავს დაგეგმვის ეტაპზე ექსპერტებისთვის გადახდილ ანაზღაურებას.

პრაქტიკაში, პროფესიონალიბუღალტერისაფრთხის თითოეულ კატეგორიასთან დაკავშირებით თავის თავს უსვამს შემდეგ კითხვებს:

1 ანგარება —რას მომიტანს ეს მე და მოახდენს თუ არა გავლენას ჩემს გადაწყვეტილებაზე?

✓ ყოყმანობთ გამოიძიოთ თუ არა ელფოსტაზე აღმოჩენილი წერილების საკითხი მაღალი ბონუსების დაპირების შემდეგ? ეს ნაკლებად ობიექტურს გაგხდით?

2 თვითშეფასება — ჩემს მიერ შესრულებულ სამუშაოს მიმოვიხილავ თუ ჩემს მიერ მანამდე გაცემულ რეკომენდაციებს ვაფასებ?

✓ ჩართული იყავით გეგმის შემუშავებაში? თუ ასეა, შეუქმნის ეს საფრთხეს თქვენს ობიექტურობას, როდესაც შემდგომში შეაფასებთ ამ გეგმას?

3 ადვოკატირება —არსებობს რისკი იმისა, რომ ხელს შევუწყობ ჩემი დამკვეთის ან დამქირავებლის პოზიციის განმტკიცებას ისე, რომ ეს მიზანშეუწონლად მიიჩნევა?

✓ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს რისკი იმისა, რომ თქვენ კომპანიის ინტერესების დასაცავად გადაჭარბებულად ლეგიტიმურად ან ღირებულად წარმოაჩენთ აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას/გეგმას, მიუხედავად ქრთამთან დაკავშირებული პრობლემისა?

4 ფამილიარული ურთიერთობები—ჩემი ხანგრძლივი ურთიერთობა დამკვეთთან ან დამქირავებელთან გავლენას მოახდენს ჩემს გადაწყვეტილებაზე ან განსჯაზე?

✓ გამოიყენებთ პროფესიულ განსჯას და ობიექტურად შეაფასებთ საკითხს, თუ დაეთანხმებით აღმასრულებელ დირექტორს მხოლოდ იმის გამო, რომ გჯერათ მისი და დარწმუნებული ხართ კომპანიაში მოქმედი განაწყვეტილების მიღების პროცესის სანდოობაში?

5 შანტაჟი —ვგრძნობ რაიმე საფრთხეს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩემი სამუშაო სათანადოდ, პროფესიონალურად და ობიექტურად შევასრულო?

✓ აღმასრულებელი დირექტორის მიდგომა - „ნებისმიერ ფასად“ - ახდენს თქვენზე ზეწოლას და გაფიქრებინებთ, რომ თქვენი სამსახური და რეპუტაცია საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება იმ შემთხვევაში, თუ ახალ ბაზარზე შესვლის გეგმას რაიმე შეაფერხებს ან ჩაშლის?

მნიშვნელოვანია კონტექსტი. საფრთხეების გამოვლენისას, პროფესიონალ ბუღალტრებს მოეთხოვებთ ყველა ფაქტისა და გარემოების გათვალისწინება, მათ შორის ნებისმიერი ისეთი სახის პროფესიული საქმიანობის, ინტერესებისა და ურთიერთობების, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვას.

ამ სტატიების სერიის შემდეგ ნაწილში განვიხილავთ, თუ როგორ ფასდება გამოვლენილი საფრთხე არის თუ არა მისაღები დონის. გარდა ამისა, ყურადღებას გავამახვილებთ იმაზეც, როგორ გამოიყენება გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის ტესტი პრაქტიკაში.

სად მიიღებთ დამატებით ინფორმაციას?

კონცეპტუალური მიდგომა წარმოდგენილია კოდექსის 1-ლი ნაწილის 120-ე განყოფილებაში. კონცეტუალური მიდგომის გამოყენებასთან დაკავშირებული დამატებითი დებულებები წარმოდგენილია კოდექსის მე-2, მე-3, 4ა და 4ბ ნაწილების მე-200, მე-300, მე-400და მე-900 განყოფილებებში, შესაბამისად.

IESBA CODE
IESBAeCode.org

www.IESBAeCode.org-ზეთქვენ იხილავთ eCode-ს - ონლაინ რესურსს, რომელიც განკუთვნილია ბუღალტერთათვის და ასევე კოდექსის სხვა მომხმარებლებისათვის.

IFAC International Federation of Accountants®

International Federation of Accountants
529 Fifth Avenue, New York 10017
www.ifac.org | +1 (212) 286-9344 | @ifac | company/ifac

IESBA International Ethics Standards Board for Accountants®
@ethics_board
www.ethicsboard.org

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 2: კონცეპტუალური მიდგომა - ნაბიჯი 1, საფრთხეების გამოვლენა“ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე ან მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 2: კონცეპტუალური მიდგომა - ნაბიჯი 1, საფრთხეების გამოვლენა“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 2: კონცეპტუალური მიდგომა - ნაბიჯი 1, საფრთხეების გამოვლენა” - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: Exploring the IESBA Code Installment 2 – The Conceptual Framework, Step 1, Identifying Threats

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: Permissions@ifac.org

სად მივიღებთ დამატებით ინფორმაციას?

კონცეპტუალური საფუძვლები წარმოდგენილია კოდექსის 1-ელი ნაწილის 120-ე განყოფილებაში. კონცეტუალური მიდგომის გამოყენებისას რელევანტური დამატებითი დებულებები წარმოდგენილია მე-2, 3, 4A და 4B ნაწილების მე-200, 300, 400,და 900 განყოფილებებში შესაბამისად.

IESBA CODE
IESBAeCode.org

www.IESBAeCode.org-ზეთქვენ იხილავთ eCode-ს - ონლაინ რესურსს, რომელიც განკუთვნილია ბუღალტერთათვის, ისევე როგორც კოდექსის სხვა მომხმარებლებისათვის